ტრადიციის ინერცია მოდერნიზაციის ეპოქაში: სინოცენტრიზმის გავლენა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე-დენ სიაოპინიდან სი ძინფინგამდე

შალვა ჩიხლაძე
MA, სინოლოგიის დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
Shalva.chikhladze@giu.edu.ge
ირაკლი იოსელიანი
BA, პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irakli.ioseliani558@sps.tsu.edu.ge
https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12145

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა აანალიზებს სინოცენტრიზმის, როგორც მედეგი ცივილიზაციური თვითაღქმისა და კოგნიტური მატრიცის გავლენას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუციაზე დენ სიაოპინის რეფორმებიდან სი ძინფინგის მმართველობამდე. ეყრდნობა რა სოციალურ-კონსტრუქტივისტულ პარადიგმას, ნაშრომი ჩინეთს განიხილავს არა კლასიკურ ვესტფალიურ ერ-სახელმწიფოდ, არამედ „ცივილიზაცია-სახელმწიფოდ“, რომლის საერთაშორისო ქცევას განაპირობებს ისტორიული ცენტრალურობის განცდა, „ჩაგვრის საუკუნის“ კოლექტიური ტრავმა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მისწრაფება.

სტატიის მთავარი მიგნებაა სინოცენტრიზმის ოპერაციონალიზაცია სამი ანალიტიკური განზომილებით, მათ შორის: ეპისტემური უპირატესობით, ნორმატიული ავტონომითა და ინსტიტუციური ალტერნატივით, რისი მეშვეობითაც ფასდება ჩინეთის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინების ტრანსფორმაცია სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე:

დენ სიაოპინის ეპოქაში სინოცენტრიზმი ტრანსფორმირდა „სტრატეგიულ თავშეკავებასა“ და ეროვნული ავტონომიის შენარჩუნებაში.

ძიან წემინისა და ჰუ ძინთაოს პერიოდში იგი გამოვლინდა გლობალურ ინსტიტუტებში (WTO) ინტეგრაციასა და რეგიონული ასიმეტრიების (ASEAN, SCO) ჩამოყალიბებაში.

სი ძინფინგის მმართველობისას სინოცენტრიზმმა შეიძინა ღია ნორმატიული და დისკურსული სახე „ეროვნული აღორძინებისა“ და გლობალური ინიციატივების (მაგ. BRI) მეშვეობით.

კვლევა ასკვნის, რომ ჩინეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა არ წარმოადგენს საერთაშორისო სისტემასთან უბრალო ადაპტაციას, არამედ არის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის გაგრძელება, სადაც პეკინი ცდილობს საკუთარი ისტორიული თვითაღქმისა და მზარდი შესაძლებლობების სინთეზით შექმნას ცენტრალიზებული, ალტერნატიული საერთაშორისო წესრიგის ელემენტები.

საკვანძო სიტყვები: სინოცენტრიზმი, ჩინეთის საგარეო პოლიტიკა, ცივილიზაცია-სახელმწიფო, დენგ სიაოპინი, სი ძინპინი, კონსტრუქტივიზმი, სარტყელი და გზა ინიციატივა

შესავალი

XXI საუკუნეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად ჩამოყალიბდა. ქვეყნის ეკონომიკურმა აღმავლობამ, მზარდმა დიპლომატიურმა აქტიურობამ და გლობალური მასშტაბის ინიციატივებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი იმ ფაქტორების მიმართ, რომლებიც ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და განვითარებას განსაზღვრავს. თანამედროვე საერთაშორისო პროცესები აჩვენებს, რომ ჩინეთის საგარეო ქცევის ახსნა მხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობებითა და ძალაუფლების განაწილებით აღარ არის საკმარისი, რადგან სახელმწიფოს საერთაშორისო მოქმედება ხშირად ეფუძნება უფრო ხანგრძლივ ისტორიულ გამოცდილებასა და პოლიტიკური თვითაღქმის თავისებურებებს (Forsby, 2011).ამ საკითხის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ჩინეთის პოლიტიკური დისკურსი თანამედროვე საგარეო პოლიტიკის დასაბუთებისას აქტიურად ეყრდნობა ისტორიულ ნარატივებსა და ქვეყნის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას. „დამცირების საუკუნის“ მეხსიერება, სახელმწიფოებრივი უწყვეტობის იდეა და ჩინეთის განსაკუთრებული ისტორიული როლის აღქმა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც ოფიციალურ რიტორიკაში, ისე პრაქტიკულ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. როგორც აღნიშნავს ჭენგ ვანგი ისტორიული მეხსიერება თანამედროვე ჩინეთისთვის მხოლოდ წარსულის ინტერპრეტაციას არ წარმოადგენს, არამედ მოქმედებს როგორც პოლიტიკური რესურსი, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს საგარეო პრიორიტეტებსა და საერთაშორისო ქცევაზე (Zheng, 2012). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა და მისი გავლენა საერთაშორისო სისტემაზე, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ საკითხს, თუ როგორ აისახა ჩინეთის ისტორიული თვითაღქმა და იდენტობის ცვლილებები საგარეო პოლიტიკის ევოლუციაზე დენგ სიაოპინის რეფორმების პერიოდიდან სი ძინპინის მმართველობამდე. აღნიშნული საკითხის კვლევა საშუალებას იძლევა უფრო სრულყოფილად აიხსნას ჩინეთის საერთაშორისო ქცევის ლოგიკა და შეფასდეს ის ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის მზარდი საერთაშორისო როლის პირობებში მის საგარეო პოლიტიკას განაპირობებს (Forsby, 2011) (jacques, 2009).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის და მასზე ზემოქმედები ფაქტორების ანალიზი მხოლოდ მატერიალური კატეგორიებით: სამხედრო ბალანსითა თუ ეკონომიკური ინტერესებით არასრულია და ხშირად ზედაპირულ დასკვნებამდე მიყავს საზოგადოება. ამ შემთხვევაში უპრიანია აქცენტი გაკეთდეს არაძალისმიერ ფაქტორებზე, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკის ფორმირების პროცესში. საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული პარადიგმა გვთავაზობს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოების ქცევას, პირველ რიგში, მათი სოციალურად კონსტრუირებული იდენტობა, კულტურული კოდები და შიდა აღქმები განსაზღვრავს (Wendt, 1992). ჩინეთის შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკური აქტივობა არის არა უბრალოდ რაციონალური ძიება უსაფრთხოებისა, ეკონომიკური მოდერნიზაციისა თუ სამხედრო ძლიერების, არამედ საკუთარი იდენტობის რეალიზებისა და იმ ისტორიული როლის დაბრუნების მცდელობაა, რომლის „ტყვედაც“ ქვეყანა

საუკუნეების განმავლობაში იქცა. ჩინეთი, თავისი არსით, არ წარმოადგენს კლასიკურ დასავლურ ერ-სახელმწიფოს (Natioan State), რომლის ქცევაც ვესტფალიური სისტემის წესებით იხსნება. ლუსიან პაის ცნობილი ფორმულირებით, იგი არის „ცივილიზაცია, რომელიც თავს ნაციონალურ სახელმწიფოდ ასაღებს“ (Pye, 1990, გვ. 58). როგორც „ცივილიზაცია-სახელმწიფოს“, ჩინეთს გააჩნია ღრმად ფესვგადგმული, სინოცენტრული თვითაღქმა ერთგვარი იდენტობა, რომელიც მას სამყაროს ცენტრად, „ცენტრალურ სამეფოდ- zhong guo” აპოზიციონირებს. ეს სტრატეგიული კულტურა საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა ნორმატიულ წესრიგს, სადაც გარე სამყარო აღიქმებოდა არა თანასწორ პარტნიორად, არამედ კულტურულ და პოლიტიკურ პერიფერიად (Johnston, 1995). თუმცა, კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, ჩინეთის თანამედროვე იდენტობა ორმაგი ბუნებისაა: ის მოქცეულია ისტორიულ დიდებულებასა და ღრმა ფსიქოლოგიურ ტრავმას შორის. XIX-XX საუკუნეების „ჩაგვრის საუკუნემ“ (百年国耻), როდესაც ქვეყანა დასავლურმა იმპერიალისტურმა ძალებმა და იაპონიამ დაანაწილეს, კოლოსალური გარდატეხა მოახდინა ჩინურ კოლექტიურ ცნობიერებაში (Wang, 2012). სინოცენტრული იდენტობის მქონე ცივილიზაციისთვის ეს იყო არა მხოლოდ გეოპოლიტიკური დამარცხება, არამედ ონტოლოგიური კატასტროფა- სამყაროს ბუნებრივი წესრიგის რღვევა (Callahan, 2004). ეს იმდენად დიდ ტრავმა აღმოჩნდა რომ შეარყია ათასწლეულების ისტორიის მქონე იმპერიული სისტემა და რესპუბლიკის დაბადება დაუდო სათავე. შესაბამისად, თანამედროვე პეკინის საგარეო პოლიტიკა და მისი მისწრაფება გლობალური ლიდერობისკენ (რასაც სი ძინპინი „ჩინელი ერის დიდ რენესანსს ან/და აღორძინებას 中华民族伟大复兴 უწოდებს) არის ამ ისტორიული ტრავმის კომპენსაციის მცდელობა. ჩინეთი მოქმედებს იმ აღქმით, რომ საერთაშორისო სისტემაში მისი დღევანდელი აღზევება არის არა ახალი სტატუსის მოპოვება, არამედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და მისი ბუნებრივი, ცენტრალური ადგილის დაბრუნება. პეკინი გარკვეულწილად რჩება საკუთარი ნარატივებისა და იმ სინოცენტრული იდენტობის „ტყვეობაში“, რომელიც მას კარნახობს, რომ ჩინეთი ვერასოდეს იქნება მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი დიდი სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე -ის უნდა იყოს სისტემის ნორმატიული და ცივილიზაციური ღერძი.

გამომდინარე აქედან, მოცემული სტატიის მიზანია გაანალიზოს სინოცენტრიზმის გავლენა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუციაზე დენგ სიაოპინის პერიოდიდან სი ძინპინის მმართველობამდე და აჩვენოს, როგორ ტრანსფორმირდებოდა იგი სხვადასხვა ლიდერის საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინებსა და პრაქტიკაში.

ამ მიზნიდან გამომდინარეობს სტატიის მთავარი საკვლევი კითხვები:

1) როგორ აისახა იგი დენგ სიაოპინის „სტრატეგიულ თავშეკავებაში“?

2) რა ფორმით გამოვლინდა ძიან ძემინისა და ჰუ ძინთაოს პერიოდის ინსტიტუციურ ინტეგრაციასა და რეგიონულ ასიმეტრიებში?

3) რა მექანიზმებით იძენს იგი ღია ნორმატიულ და ინსტიტუციურ სახეს სი ძინპინის „ეროვნულ აღორძინებასა“ და გლობალურ ინიციატივებში?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სტატია მიმოიხილავს სინოცენტრიზმის თეორიულ საფუძვლებს და აანალიზებს მის გამოვლენას ჩინეთის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე: დენგ სიაოპინის, ძიან ზემინის, ხუ ძინთაოსა და სი ძინფინგის მმართველობის პერიოდებში. კვლევა ეფუძნება სოციალურ-კონსტრუქტივისტულ პარადიგმას და იყენებს ისტორიულ-შედარებით, დისკურს-ანალიზისა და მიზეზ-შედეგობრივი პროცესის მიკვლევის (Process Tracing) მეთოდებს. სინოცენტრიზმი ოპერაციონალიზებულია ანალიტიკურ ჩარჩოდ ეპისტემური უპირატესობის, ნორმატიული ავტონომიისა და ინსტიტუციური ალტერნატივის განზომილებებით, რომელთა მეშვეობითაც ფასდება ჩინეთის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინები და პრაქტიკა დენგ სიაოპინიდან სი ძინპინამდე. კვლევა ეფუძნება **დაშვებას**, რომ სინოცენტრიზმი, მიუხედავად მისი გამოვლენის ფორმების ტრანსფორმაციისა, დენგ სიაოპინის პერიოდიდან სი ძინპინის მმართველობამდე ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდენტობრივ საფუძვლად რჩებოდა და სხვადასხვა ლიდერის პირობებში განსხვავებული პოლიტიკური და საერთაშორისო გარემოს შესაბამისად სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა.

სინოცენტრიზმის კონცეპტუალიზაცია ისტორიულ-თანამედროვე პერსპექტივები

1. სინოცენტრიზმის კონცეპტუალიზაცია: თეორიულ-ანალიტიკური ჩარჩო

სინოცენტრიზმის ფენომენზე მეცნიერული მსჯელობისას აუცილებელია მოხდეს ხსენებული ცნების მკაცრი კონცეპტუალიზაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიზირებული ან სხვა ტიპის ინტერპრეტაციები და გამარტივდეს კვლევის პროცესში მისი ოპერაციონალიზაცია. წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სინოცენტრიზმი განისაზღვრება არა როგორც პეკინის მიერ პრაგმატულად გამოყენებული ოფიციალური იდეოლოგიური დოქტრინა, არამედ როგორც ანალიტიკური კატეგორია, რომელიც აღწერს მყარ, გრძელვადიან ცივილიზაციურ თვითაღქმასა და კოგნიტურ მატრიცას. ამ სოციო-კულტურული თვითაღქმის მიხედვით, ჩინეთი იკავებს ლეგიტიმური საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურულ, მორალურ და ისტორიულ ცენტრს და არ წარმოადგენს უბრალოდ ერთ რიგით სუვერენულ სახელმწიფოს ვესტფალიურ, ეგალიტარულ თანასწორთა შორის.

ეს მიდგომა არ უნდა იქნას გაიგივებული კლასიკურ დასავლურ იმპერიალიზმთან ან უხეშ გეოპოლიტიკურ ჰეგემონიზმთან. იგი უფრო მეტად ეფუძნება ფუნდამენტურ დაშვებას, რომ საგარეო აქტორების სტატუსი, საერთაშორისო ლეგიტიმურობა და თავად განვითარებისა თუ მოდერნიზაციის ხარისხიც კი, ჯეროვნად ფასდება და ვალიდირდება ჩინეთის ცივილიზაციურ სტანდარტთან მიმართებით. ამგვარად გააზრებული სინოცენტრიზმი ფუნქციონირებს როგორც მედეგი კულტურული განწყობა ერთგვარი სოციალური დისპოზიცია, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ ინსტიტუციურ ფორმებს იღებდა: დაწყებული ტრადიციული იმპერიული ძღვენის სისტემიდან (中华朝贡体系), დასრულებული თანამედროვე ჩინური „ეროვნული აღორძინების“ (中华民族伟大复兴) სახელმწიფოებრივი დისკურსით.

მდიდარი ცივილიზაციური და ინტელექტუალური ტრადიციიდან გამომდინარე, ჩინეთის თანამედროვე სახელმწიფო ეტაპობრივად ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებას შესთავაზოს მოდერნიზაციისა და განვითარების საკუთარი, ალტერნატიული მოდელი. ეს პროცესი მიზნად

ისახავს არა დასავლური სისტემის მექანიკურ კოპირებას, არამედ ჩინური სპეციფიკის მქონე განვითარების პარადიგმის საერთაშორისო აღიარებასა და ეპისტემურ ლეგიტიმაციას გლობალურ არენაზე.

ისტორიული პერსპექტივა: კოსმოლოგიური წესრიგიდან ანალიტიკურ მოდელამდე

ისტორიულ ჭრილში, სინოცენტრიზმი კონსტრუირებული იყო ურთიერთდაკავშირებული იდეებისა და სიმბოლოების კლასტერზე:

1. „ჭუნგგუო“ (Zhongguo - 中国): ცენტრალური სამეფო, რომელიც გეოგრაფიულთან ერთად კულტურულ ცენტრსაც აღნიშნავდა.

2. „თიენმინგი“ (Tianming - 天命): ზეციური მანდატი, რომელიც მმართველს მორალურ ლეგიტიმაციას ანიჭებდა.

3. ბინარული ოპოზიცია: მკაცრი ცივილიზაციური გამიჯვნა „ვენმინგსა“ (Wenming - 文明 / ცივილიზებული) და გარეშე „ბარბაროსებს“ (Yi/Man/Rong/Di) შორის, სადაც ეს უკანასკნელნი განიხილებოდნენ როგორც კულტურული ასიმილაციის სუბიექტები.

ამ კონტექსტში თანამედროვე დისკურსში ხშირად ხდება „თიენსიას“ (Tianxia - 天下 / „ყოველივე ცისქვეშეთში“) კონცეფციის რეაქტუალიზაცია. თუმცა, აკადემიური სიზუსტისთვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ თიენსია უპირატესად ფილოსოფიური და გვიანდელი აკადემიური რეკონსტრუქციაა, რომელიც ყველაზე გავლენიანად ფილოსოფოს ჭაო თინგიანგის (Zhao Tingyang) 2005 წლის ნაშრომმა გააცოცხლა და არა ტერმინი, რომელსაც იმპერიული ან თანამედროვე ჩინური სახელმწიფო ოდესმე იყენებდა ოფიციალურ, ნორმატიულ საგარეო დოქტრინად (Zhao, 2006).

დასავლურ სინოლოგიაში ჯონ კინგ ფეირბენკი და მისი მიმდევრები სინოცენტრიზმს ანალიტიკურ პრიზმად იყენებდნენ ტრადიციული აღმოსავლეთ აზიური წესრიგის აღსაწერად (Fairbank, 1968). ფეირბენკისეული მოდელით, ეს წესრიგი იყო მკაცრად იერარქიული, არაეგალიტარული და ცენთან (იმპერიულ გულთან) კულტურული და გეოგრაფიული სიახლოვით კალიბრირებული, რასაც ლაიტმოტივად გასდევდა ჩინური მორალური და კულტურული უპირატესობის აქსიომატური დაშვება. შესაბამისად, სინოცენტრიზმი არის სამეცნიერო-ინტერპრეტაციული ჩარჩო ისტორიული პრაქტიკის გასაანალიზებლად და არა პოლიტიკური სლოგანი, რომელიც პეკინს ოდესმე დეკლარირებულად გამოუცხადებია.

3. თანამედროვე ეპოქა: ცივილიზაცია-სახელმწიფო და საგარეო პოლიტიკური ნარატივები

ჩინეთის ცენტრალურობის მეოცე საუკუნისეული დრამატული წყვეტა ჩინეთის კომუნისტური პარტიის (CCP) ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში განიხილება არა როგორც ევოლუციური კანონზომიერება, არამედ როგორც ისტორიული ანომალია „ჩაგვრისა და დამცირების საუკუნე“ (百年国耻, 1839–1949) (Wang, 2012). სწორედ ამ კოგნიტური ტრავმის დაძლევას ისახავს მიზნად სი ძინპინის მიერ დეკლარირებული „ჩინური ოცნება“ (中国梦) და „დიდი ეროვნული აღორძინების“ (伟大复兴) პროექტი. თიენსიას ფილოსოფიური აბსტრაქციისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოქმედ და სავალდებულო სახელმწიფო დოქტრინას.

მარტინ ჟაკის მიერ დამკვიდრებული „ცივილიზაცია-სახელმწიფოს“ (Civilization-state) კონცეპტი თეორიულად ხსნის ამ ფენომენის კულტურულ განზომილებას (Jacques, 2009). ჟაკი ამტკიცებს, რომ ჩინეთის კულტურული უწყვეტობის, უნიკალურობისა და სტრუქტურული ცენტრალურობის განცდა ბევრად უსწრებს წინ თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოს (Nation-state) ევროპულ მოდელს. XIX-XX საუკუნეების გეოპოლიტიკურმა სისუსტემ ეს განწყობა მხოლოდ დროებით ჩაახშო, თუმცა მისი სრული დეკონსტრუქცია ვერ მოახდინა.

თანამედროვე საგარეო პოლიტიკურ დისკურსში ეს მედეგი ცივილიზაციური თვითაღქმა ხელახლა იჩენს თავს ისეთ ოფიციალურ ფორმულირებებში, როგორიც არის „კაცობრიობის საერთო მომავლის მქონე საზოგადოების მშენებლობა“ (Community with a Shared Future for Mankind). აღსანიშნავია კონცეპტუალური გამიჯვნა მის შიდა და გარე რეპრეზენტაციას შორის (Callahan, 2016):

• **საერთაშორისო პლატფორმებზე (მაგ. გაეროში):** ეს ფრაზა პოზიციონირდება როგორც ინკლუზიური, მრავალმხრივი და საყოველთაოდ გაზიარებული ლიბერალური პრინციპი.

• **შიდაპარტიულ დისკურსში:** სი ძინპინმა ეს კონცეფცია პირდაპირ დაუკავშირა ტრადიციულ სინოცენტრულ მისწრაფებას „საყოველთაო ჰარმონიასა“ და „ყოველივე ცისქვეშეთის ერთ ოჯახად ყოფნას“ (Tianxia Yijia - 天下一家). ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ ორგანიზებულ ფორუმებზე პროექტი წარმოდგენილია როგორც ექსკლუზიურად ჩინური ცივილიზაციური სიბრძნიდან მომდინარე ფენომენი, რომელიც გლობალურ ქაოსს ალტერნატიულ, პეკინზეცენტრირებულ სტაბილურობას სთავაზობს.

4. ოპერაციონალიზაციის ჩარჩო კვლევისთვის

კვლევაში სინოცენტრიზმის გასაზომად და ოპერაციონალიზაციისთვის, მიზანშეწონილია ფენომენის დაყოფა სამ ძირითად განზომილებად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ამ ინდიკატორებს:

ანალიტიკური განზომილება	**ოპერაციონალიზაციის ინდიკატორები და გამოვლინება**
1.ეპისტემური უპირატესობა	ჩინური განვითარების მოდელის (მაგ. „ჩინური მოდერნიზაცია“) უნიკალურობისა და დასავლურ მოდელთან შედარებით მისი უპირატესობის ხაზგასმითი ნარატივები.
2.ნორმატიული ავტონომია	დასავლური უნივერსალიზმის (ადამიანის უფლებები, ლიბერალური დემოკრატია) უარყოფა და საკუთარი ღირებულებითი სტანდარტების საერთაშორისო ლეგიტიმაცია.
3.ინსტიტუციური ალტერნატივა	ტრადიციული მორალური და სტრუქტურული ლიდერობის რეინკარნაცია ახალ გლობალურ ინიციატივებში (მაგ. BRI - სარტყელი და გზა, GDI - გლობალური განვითარება, GSI - გლობალური უსაფრთხოება).

ძირითადი ნაწილი

რეფორმებისა და გახსნის ეპოქაში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, სადაც ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაცია თანდათან საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა. რეფორმების დაწყებამ ჩინეთის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის უფრო აქტიურ მონაწილეობას შეუწყო ხელი. ამ პროცესთან ერთად ჩინეთი თანდათან გადავიდა იზოლირებული სახელმწიფოდან საერთაშორისო სისტემის აქტიურ მონაწილეზე (Zhang,2010). საერთაშორისო სისტემასთან ურთიერთობის გაფართოება განსაკუთრებით ინსტიტუციურ დონეზე გამოიკვეთა. ჩინეთის ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მრავალმხრივ შეთანხმებებში გაიზარდა, რამაც ქვეყნის ურთიერთობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან უფრო ინტენსიური გახადა. რეფორმებისა და გახსნის პერიოდში ჩინეთმა თანდათან მოახდინა საკუთარი ინსტიტუტების ადაპტაცია საერთაშორისო რეჟიმებთან, ნორმებსა და სტანდარტებთან (QIN, 2016). ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდასთან ერთად გაფართოვდა ჩინეთის რეგიონული და საერთაშორისო აქტიურობაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში მონაწილეობა, მათ შორის ASEAN-თან ურთიერთობების გაღრმავება. ამასთან, ჩინეთის დიპლომატიური აქტიურობის ზრდა გამოიხატა საერთაშორისო და რეგიონული შეხვედრების მასპინძლობასა და მრავალმხრივი ფორმატების უფრო აქტიურ გამოყენებაში (Zhang, 2010). ამავე პერიოდში ეკონომიკური თანამშრომლობა თანდათან გასცდა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებს და მოიცვა განვითარების დახმარება, ინფრასტრუქტურული პროექტები და ტექნიკური თანამშრომლობა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა განვითარებად ქვეყნებთან ჩინეთის ურთიერთობებში, სადაც ეკონომიკური თანამშრომლობა ქვეყნის საერთაშორისო გავლენის გაფართოების ერთ-ერთ პრაქტიკულ მიმართულებად იქცა (Park, 2015). ამგვარად, რეფორმებისა და გახსნის პერიოდში ჩინეთის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდამ, საერთაშორისო ინსტიტუტებში ჩართულობის გაფართოებამ და რეგიონული ურთიერთობების გაღრმავებამ საფუძველი შექმნა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შემდგომი გააქტიურებისთვის. ამ პროცესში ჩინეთის საერთაშორისო როლი თანდათან გაფართოვდა, რაც შემდგომ ეტაპზე უფრო თავდაჯერებული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების წინაპირობად იქცა.

დენ სიაოპინის პერიოდი: რეფორმები, გახსნის პოლიტიკა და სინოცენტრიზმის ტრანსფორმაცია

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის გასაგებად აუცილებელია იმ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც დენგ სიაოპინის რეფორმები ჩამოყალიბდა. მაო ძედუნის მმართველობის პერიოდში საგარეო პოლიტიკა ძირითადად ეროვნული უსაფრთხოების, სუვერენიტეტის დაცვისა და იდეოლოგიური კონკურენციის ლოგიკით განისაზღვრებოდა. თუმცა მმართველობის ბოლო წლებში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების ნორმალიზაციისა და საბჭოთა კავშირთან დაძაბულობის ფონზე, საგარეო პოლიტიკაში უკვე გამოიკვეთა უფრო პრაგმატული მიდგომის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ და კულტურული რევოლუციის შედეგებმა ცხადყო, რომ არსებული მოდელი ქვეყნის განვითარების საჭიროებებს ვეღარ პასუხობდა, რაც ახალი საგარეო-

პოლიტიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებას მოითხოვდა (ZHANG, 1999). ამ პირობებში დენ სიაოპინმა საგარეო პოლიტიკა ეკონომიკური მოდერნიზაციის სამსახურში ჩააყენა. 1978 წლის მესამე პლენუმის შემდეგ დაწყებულმა რეფორმებისა და გახსნის პოლიტიკამ ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად ეკონომიკური გაძლიერება განსაზღვრა, ხოლო საგარეო პოლიტიკის ამოცანად ისეთი საერთაშორისო გარემოს შექმნა, რომელიც ამ პროცესს შეუწყობდა ხელს. ამ ხედვას დაეფუძნა „დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის“ (independent foreign policy of peace) კონცეფცია, რომელიც ემყარებოდა მშვიდობიანი თანაარსებობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისგან დისტანცირების პრინციპებს. დენგის სტრატეგიული აზროვნება „მშვიდობისა და განვითარების“ იდეაზე იყო აგებული და სწორედ ეს გახდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულების საფუძველი (Keith, 2018). დენ სიაოპინის მიერ ჩამოყალიბებული საგარეო-პოლიტიკური ხედვა პრაქტიკაში პირველ რიგში გამოიხატა ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ეტაპობრივი ინტეგრაციით. რეფორმებისა და გახსნის პოლიტიკის ფარგლებში საგარეო ურთიერთობები უშუალოდ დაუკავშირდა ქვეყნის შიდა ეკონომიკურ მოდერნიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად ჩინეთმა აქტიურად დაიწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ტექნოლოგიური თანამშრომლობის გაფართოება და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად სახელმწიფოებთან. ამგვარად, საგარეო პოლიტიკა აღარ იყო მხოლოდ უსაფრთხოებისა და იდეოლოგიური კონკურენციის ინსტრუმენტი, იგი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად იქცა (ZHANG, 1999) მოცემულ პროცესში სინოცენტრიზმის პოლიტიკური მნიშვნელობაც სრულად არ გამქრალა, თუმცა მისი გამოვლენის ფორმა შეიცვალა. დენის პერიოდში ჩინეთი აღარ ცდილობდა საკუთარი ცენტრალურობის გამოხატვას ძველი იმპერიული იერარქიის პირდაპირი აღდგენით, იგი უფრო მეტად უკავშირდებოდა ეროვნული გაძლიერების, პოლიტიკური ავტონომიისა და საკუთარი განვითარების გზის დამოუკიდებლად განსაზღვრის იდეას. შესაბამისად, დასავლური ტექნოლოგიების, კაპიტალისა და გამოცდილების მიღება არ ნიშნავდა დასავლურ პოლიტიკურ მოდელთან გათანაბრებას. რეფორმებისა და გახსნის პერიოდში ჩინეთის იდენტობა რევოლუციური სახელმწიფოდან საერთაშორისო საზოგადოების წევრი სახელმწიფოსკენ ტრანსფორმირდა, თუმცა საკუთარი იდენტობისა და განვითარების გზის შენარჩუნება კვლავ მნიშვნელოვანი დარჩა (QIN, 2016). ამავე პროცესში პარტიის იდეოლოგიის ფუნქციაც შეიცვალა: მისი რევოლუციური მობილიზაციის როლი შემცირდა და უფრო მეტად მოდერნიზაციისა და განვითარების ლეგიტიმაციას დაექვემდებარა, რასაც „ფაქტებიდან ჭეშმარიტების ძიების“ პრინციპი გამოხატავდა. ამგვარად, დენგის პერიოდში სინოცენტრიზმი ძირითადად პოლიტიკურ-იდენტობრივ დონეზე ვლინდებოდა: ეროვნული ავტონომიის, საკუთარი მოდერნიზაციის გზისა და პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების გზით, რაც შემდგომში ჩინეთის საერთაშორისო შესაძლებლობების გაფართოების საფუძველი გახდა. ეკონომიკური გახსნილობის პარალელურად, ჩინეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა საგარეო-პოლიტიკური დამოუკიდებლობა. დენგის ადმინისტრაცია თანმიმდევრულად ავითარებდა ურთიერთობებს შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან, დასავლეთ ევროპასთან და, ამავე დროს, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმართულებითაც მუშაობდა. ამგვარი მრავალვექტორული დიპლომატია ასახავდა პეკინის სურვილს, არ მოქცეულიყო რომელიმე

დიდი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ და საგარეო ურთიერთობები მხოლოდ ეროვნული ინტერესების შესაბამისად წარემართა. სწორედ ასეთი მიდგომა წარმოადგენდა „დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის“ პრაქტიკულ გამოხატულებას.

1989 წლის თიანანმენის მოვლენებისა და საერთაშორისო იზოლაციის საფრთხის შემდეგ დენგის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა taoguang yanghui (韬光养晦- დამალე შენი ძალა, მოიგე დრო) სტრატეგიამ. ამ მიდგომის არსი იყო საერთაშორისო გარემოს მშვიდად შეფასება, საკუთარი შესაძლებლობების ზედმეტი დემონსტრირების თავიდან აცილება, ლიდერის როლის ნაადრევ პრეტენზიაზე უარის თქმა და ძირითადი ძალისხმევის ქვეყნის შიდა განვითარებაზე კონცენტრირება. შესაბამისად, ჩინეთი არ ცდილობდა არსებული საერთაშორისო წესრიგის ღია გამოწვევას, პირიქით, იგი იყენებდა საერთაშორისო გარემოს საკუთარი ეკონომიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა მომავალში უფრო ძლიერი პოზიციიდან ემოქმედა (Keith, 2018).

დენგის საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ტერიტორიული მთლიანობის საკითხების დიპლომატიური გზით გადაწყვეტის მცდელობა. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული „ერთი ქვეყანა - ორი სისტემა“, რომელიც მიზნად ისახავდა ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენას იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სხვადასხვა ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემის თანაარსებობა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ეს მიდგომა თავდაპირველად თაივანის საკითხისთვის შემუშავდა, თუმცა მოგვიანებით ჰონგ-კონგისა და მაკაოს ჩინეთის იურისდიქციაში დაბრუნების საფუძვლადაც იქცა. როგორც რონალდ კეითი აღნიშნავს, რომ ამგვარი პოლიტიკა აჩვენებდა დენის მცდელობას, ეროვნული ინტერესები სამხედრო დაპირისპირების ნაცვლად დიპლომატიური და პოლიტიკური მექანიზმებით განეხორციელებინა (Keith, 2018) საერთო ჯამში, დენგ სიაოპინის ეპოქაში ჩამოყალიბებულმა საგარეო-პოლიტიკურმა პრაქტიკამ შექმნა ის სტრატეგიული საფუძველი, რომელზეც ჩინეთის შემდგომი საერთაშორისო აღმავლობა აიგო. ეკონომიკური ინტეგრაცია, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თავშეკავება არ იყო მოკლევადიანი ტაქტიკა, მოცემული ასპექტები გადაიქცა გრძელვადიან პოლიტიკურ ჩარჩოდ, რომელიც მომდევნო ლიდერებმა განსხვავებული საერთაშორისო გარემოს პირობებში განავითარეს. სწორედ ამიტომ, ძიან წემინისა და ჰუ ძინთაოს პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკა აღარ იწყება ახალი პრინციპების ფორმულირებით, იგი ძირითადად დენგის მიერ შექმნილი სტრატეგიის გაფართოებასა და მზარდი ეროვნული შესაძლებლობების პირობებში მის ადაპტაციას წარმოადგენს (Zhang, 2010).

ძიანგ წემინისა და ხუ ძინთაოს პერიოდი: ჩინეთის საერთაშორისო ინტეგრაცია და სინოცენტრიზმის პრაქტიკული გამოვლინება

ძიანგ ძემინისა და ხუ ძინთაოს ერთიან პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკაში სინოცენტრიზმი უკვე უფრო იოლად იკითხებოდა, ვიდრე დენის ეპოქაში, თუმცა კვლავ არ იყო დეკლარირებული დოქტრინის სახით. სინოცენტრიზმი ამ ეტაპზე ფუნქციონირებდა როგორც ქცევითი ლოგიკა, რომელიც განსაზღვრავდა ურთიერთობათა სტრუქტურას და არა როგორც ღიად გამოცხადებული მსოფლიო წესრიგის პროექტი. ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებთან ერთად უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფოს აღქმა,

რომელიც საკუთარ თავს აღარ განიხილავდა მხოლოდ ვესტფალური მოდელის ჩვეულებრივ ნაციონალურ სახელმწიფოდ (nation-state). პირიქით, ჩინეთის საგარეო-პოლიტიკურ დისკურსში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა მისი, როგორც „ცივილიზაცია-სახელმწიფოს" (civilization-state), თვითაღქმა, რომელიც მრავალათასწლოვან ისტორიულ უწყვეტობას, კულტურულ განსაკუთრებულობასა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ცენტრალური ადგილის შესახებ წარმოდგენას ეფუძნებოდა. როგორც მარტინ ჟაკი აღნიშნავს, ჩინეთის აღწერა მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს კატეგორიით ვერ ასახავს მის ისტორიულ და პოლიტიკური განვითარების სპეციფიკას, რადგან იგი წარმოადგენს ცივილიზაციურ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკური ქცევა მნიშვნელოვნად განისაზღვრება მისი ისტორიული მემკვიდრეობითა და ცივილიზაციური თვითშეგნებით (jacques, 2009). ამ კონტექსტში ჩინეთი საკუთარ თავს სულ უფრო მეტად აღიქვამდა არა უბრალოდ ერთ-ერთ სახელმწიფოდ საერთაშორისო სისტემაში, არამედ როგორც ცენტრალურ აქტორს, რომლის ეკონომიკური, პოლიტიკური და ისტორიული წონა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სხვა აქტორების მიერ. ჩინეთის მზარდი საერთაშორისო როლი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მისი დამოკიდებულების ცვლილებაში გლობალური ეკონომიკური წესრიგის მიმართ. 2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანება დასავლეთში ფართოდ აღიქმებოდა, როგორც ნაბიჯი, რომელიც ჩინეთის ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად მის ეტაპობრივ პოლიტიკურ ლიბერალიზაციასა და დასავლური განვითარების მოდელთან დაახლოებასაც შეუწყობდა ხელს. თუმცა, ეს მოლოდინი ეფუძნებოდა მცდარ დაშვებას, რომ ეკონომიკური მოდერნიზაცია ავტომატურად გამოიწვევდა ჩინეთის პოლიტიკური სისტემისა და იდენტობის დასავლურ მოდელთან კონვერგენციას (jacques, 2009). პრაქტიკაში ჩინეთმა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია საკუთარი განვითარების სტრატეგიის ინსტრუმენტად აქცია, ისე რომ შეინარჩუნა ეკონომიკური პროცესების მიმართ ცენტრალური პოლიტიკური კონტროლი და არ დაუშვა დასავლური პოლიტიკური ნორმების გადატანა ქვეყნის შიდა მართვის მოდელში. ამგვარად, საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებში მონაწილეობა ჩინეთისთვის არსებული წესრიგის პასიურ მიღებას არ ნიშნავდა, პირიქით, იგი თანდათან ცდილობდა საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების საერთაშორისო გავლენად გარდაქმნას და გლობალური ინსტიტუტების ფარგლებში უფრო აქტიური როლის შესრულებას (Zhang, 2010). შედეგად, გარე ეკონომიკური აქტორები სულ უფრო მეტად ერთვებოდნენ ჩინეთის ეკონომიკურ სივრცეში იმ ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩოს ფარგლებში, რომელსაც პეკინი თავად განსაზღვრავდა, რაც პრაქტიკაში ეკონომიკური ურთიერთობების მზარდ ასიმეტრიას აყალიბებდა. ეს ლოგიკა ნათლად იჩენდა თავს ჩინეთის დამოკიდებულებაში საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მიმართ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება არ ნიშნავდა სინოცენტრული თვითაღქმის უარყოფას, პირიქით, ჩინეთი იყენებდა ამ პლატფორმას საკუთარი ეკონომიკური სივრცის ცენტრალიზაციისთვის. საერთაშორისო წესები მოქმედებდა ჩინეთის ბაზარზე, თუმცა მათი განხორციელება და ინტერპრეტაცია მკაცრად ექვემდებარებოდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს. შედეგად, გარე ეკონომიკური აქტორები ინტეგრირდებოდნენ ჩინურ ეკონომიკურ სივრცეში არა თანასწორი პირობებით, არამედ იმ სტრუქტურის ფარგლებში, რომელსაც პეკინი განსაზღვრავდა (Forsby, 2011). რეგიონულ პოლიტიკაში გავლენა კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო. ჩინეთ–ASEAN-ის ეკონომიკური ურთიერთობები ფორმალურად ეფუძნებოდა

თანასწორობას, თუმცა პრაქტიკაში ისინი ქმნიდა ურთიერთობათა ასიმეტრიულ მოდელს, სადაც ჩინეთის ბაზარი და კაპიტალი ცენტრალურ პოზიციას იკავებდა. ამ კონტექსტში სინოცენტრიზმი არ გამოიხატებოდა პოლიტიკური სუბორდინაციის მოთხოვნით, არამედ ეკონომიკური მიზიდულობის გზით, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებს აიძულებდა საკუთარი საგარეო პოლიტიკის კორექტირებას ჩინეთის ინტერესების გათვალისწინებით (Lu, 2018). ამის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია აღვიქვათ უსაფრთხოების სფეროში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ გარდაიქმნა სინოცენტრული ლოგიკა ამჯერად თანამედროვე მრავალმხრივ ფორმატში. ორგანიზაცია არ ეფუძნებოდა სამხედრო ალიანსის პრინციპს და უსაფრთხოების საკითხები განიხილებოდა ძირითადად იმ ტიპის ფორმით, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებდა სახელმწიფო სუვერენიტეტსა და რეჟიმების სტაბილურობას, რაც შეესაბამებოდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ კულტურას და სინოცენტრულ ხედვას წესრიგის შესახებ, სადაც ცენტრალური ძალა უზრუნველყოფს სტაბილურობას, ხოლო პერიფერია ერგება ამ ჩარჩოს. ამგვარი მიდგომა შეესაბამებოდა სინოცენტრულ წარმოდგენას წესრიგის შესახებ, რომელიც არ ეფუძნება თანასწორ ნორმებს, არამედ იერარქიულ პასუხისმგებლობასა და ცენტრალურ კოორდინაციას (Qin, 2018). მოცემული მსოფლმხედველობის გაგრძელებად შეგვიძლია დავინახოთ სუვერენიტეტის საკითხებშიც დენგის პერიოდიდან. ტაივანის მიმართ ჩინეთის პოზიცია ძიანგისა და ხუ ძინტაოს პერიოდში რჩებოდა შეუვალი და არამოლაპარაკებადი. მიუხედავად დიპლომატიური ენის შერბილებიდა, პრაქტიკული ქცევა: სამხედრო წვრთნები, პოლიტიკური ზეწოლა და საერთაშორისო სივრცეში საკითხის მკაცრ ჩარჩოებში ინტერპრეტაცია ეფუძნებოდა წარმოდგენას ცენტრალური პოლიტიკური ავტორიტეტის უპირატესობაზე. ეს ქცევა არ ჯდებოდა ვესტფალური თანასწორობის ლოგიკაში და უფრო მეტად ასახავდა სინოცენტრულ ხედვას სახელმწიფოს მთლიანობისა და ლეგიტიმაციის შესახებ. ამ ერთიან პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ქცევა სულ უფრო მეტად ავლენდა სინოცენტრიზმის გარდაქმნილ ფორმას. ცენტრალურობა აღარ იყო დეკლარირებული ცივილიზაციური უპირატესობის ენით, თუმცა იგი პრაქტიკაში ვლინდებოდა ეკონომიკური ასიმეტრიებით, რეგიონული ფორმატების დიზაინითა და სუვერენიტეტის საკითხებზე შეუვალი პოზიციით. ამავდროულად, ჩინეთის წარმატებულმა ეკონომიკურმა მოდერნიზაციამ გააძლიერა საკუთარი განვითარების მოდელის მიმართ ნდობა და იგი სულ უფრო მეტად წარმოაჩინა, როგორც დასავლური ლიბერალური მოდელის ეფექტიანი ალტერნატივა (jacques, 2009). სინოცენტრიზმი ამ ეტაპზე მოქმედებდა როგორც უხილავი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა ჩინეთის ურთიერთობას გარე სამყაროსთან და აყალიბებდა საგარეო პოლიტიკის ყოველდღიურ პრაქტიკას.

სი ძინფინგის პერიოდი: სინოცენტრიზმის რეორგანიზაცია და ჩინეთის გლობალური ამბიცია

ხუ ძინთაოს წასვლისა პრეზიდენტის პოსტიდან და სი ძინფინგის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში მოხდა ხარისხობრივი გარდატეხა, რომელიც არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ლიდერის პიროვნული სტილით. ეს ცვლილება უფრო ფართო პროცესის გამოხატულებაა, სადაც ჩინეთი საკუთარ საერთაშორისო როლს უკვე აღარ აღიქვამს თავს როგორც თავშეკავებულ ან მხოლოდ გარემოსთან ადაპტირებულს. დაგროვილი ეკონომიკური, სამხედრო და ინსტიტუციური რესურსები ქმნის ისეთ პირობებს, სადაც საგარეო პოლიტიკა სულ

უფრო მეტად იწყებს აქტიურ ზემოქმედებას საერთაშორისო გარემოზე და არა მხოლოდ მასზე (jacques, 2009). ამ ეტაპზე შესამჩნევად იცვლება საგარეო პოლიტიკის დისკურსიც. თუ წინა პერიოდებში ცენტრალურ ადგილს იკავებდა სიფრთხილისა და მშვიდობიანი განვითარების რიტორიკა, სი ძინფინგის ეპოქაში უფრო მკაფიოდ ისმის „ეროვნული აღორძინების“ და „დიდი სახელმწიფოს“ თემატიკა (Park, 2015). ეს ენობრივი ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ სიმბოლური, იგი ასახავს ჩინეთის მზარდ მზადყოფნას, საკუთარი ინტერესები წარმოაჩინოს როგორც ლეგიტიმური და გარდაუვალი ელემენტი საერთაშორისო წესრიგში. სწორედ ამ კონტექსტში სინოცენტრიზმი იწყებს უფრო ღიად გამოჩენას არა როგორც ისტორიული ნოსტალგია, არამედ როგორც თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ჩარჩო. სინოცენტრიზმი სი ძინპინის ეპოქაში აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ქცევითი ლოგიკით, იგი თანდათან იღებს დისკურსულ ფორმასაც. ჩინეთი სულ უფრო ხშირად წარმოაჩენს საკუთარ გამოცდილებას, განვითარებისა და მართვის მოდელს როგორც ალტერნატიულ გზას დასავლური ლიბერალური წესრიგის მიმართ. ეს არ ნიშნავს საერთაშორისო სისტემის პირდაპირ უარყოფას, თუმცა ნათლად მიუთითებს მის გარდაქმნაზე არსებული ცენტრების გადაადგილების გზით. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ ჩინეთის სტრატეგიული მიზანი ამ ეტაპზე აღარ არის მხოლოდ სისტემაში ინტეგრაცია, არამედ მისი შიდა ლოგიკის თანდათან შეცვლა საკუთარი ინტერესების შესაბამისად (Friend, 2018)

სი პერიოდში საგარეო პოლიტიკაში ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს სტატუსის საკითხიც. ჩინეთი სულ უფრო ნაკლებად იღებს იმ როლს, რომელიც მისთვის სხვა ძალების მიერ არის მინიჭებული, და უფრო მეტად ცდილობს თავად განსაზღვროს საკუთარი ადგილი საერთაშორისო იერარქიაში (Wong K.-H. , 2018). ეს სტატუსობრივი თვითაღქმა მჭიდროდ უკავშირდება სინოცენტრიზმს, რადგან ჩინეთი საკუთარ თავს აღიქვამს არა მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოდ, არამედ ისტორიულად ცენტრალურ პოლიტიკურ ერთეულად, რომლის გავლენა ბუნებრივად უნდა აღიარონ გარე აქტორებმა. საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობაში ეს ცვლილება გამოიხატება უფრო თავდაჯერებულ ქცევაში. ჩინეთი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ წესების მიმღების როლით და სულ უფრო აქტიურად ცდილობს საერთაშორისო დღის წესრიგის ფორმირებაზე ზემოქმედებას. ამასთან, პეკინის მიზანი არსებული საერთაშორისო წესრიგის სრული უარყოფა არ არის, იგი უფრო შერჩევითი რევიზიის პოლიტიკას ატარებს, რომლის ფარგლებშიც ინარჩუნებს იმ ინსტიტუტებსა და ნორმებს, რომლებიც მის ინტერესებს ემსახურება, ხოლო ცდილობს შეცვალოს ან გარდაქმნას ის ელემენტები, რომლებიც მისი მზარდი სტატუსისა და საერთაშორისო როლის შეზღუდვად მიაჩნია . საერთაშორისო ნორმები კვლავ გამოიყენება, თუმცა მათი ინტერპრეტაცია და გამოყენება ხშირად ემსახურება ჩინეთის სტრატეგიულ მიზნებს. ამგვარი მიდგომა ასახავს იმ ხედვას, რომლის მიხედვით წესრიგი არ არის სტატიკური მოცემულობა, არამედ ცვალებადი სტრუქტურა, სადაც ცენტრალური ძალა ახდენს ნორმების გარდაქმნას პრაქტიკის მეშვეობით (Qin, 2018). სი ძინპინის პერიოდში სინოცენტრიზმი განსაკუთრებით ნათლად აისახა კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ინიციატივებში, რომლებიც სცდება დისკურსულ და თეორიულ ჩარჩოს და გადადის პრაქტიკული მოქმედების დონეზე. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს „სარტყლისა და გზის ინიციატივა“, რომელიც ოფიციალურად ეკონომიკური თანამშრომლობისა და კავშირების

გაღრმავების პროექტად არის წარმოდგენილი. პრაქტიკაში ეს ინიციატივა ქმნის ფართო ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ ქსელს, სადაც ჩინეთი ფუნქციონირებს როგორც ცენტრალური კოორდინატორი. პარტნიორი ქვეყნები ამ ქსელში ერთვებიან განსხვავებული ინტერესებით, თუმცა თავად ქსელის ლოგიკა წინასწარ განსაზღვრავს მოქმედების ფარგლებს. ამგვარი ურთიერთობები ქმნის მდგომარეობას, სადაც ჩინეთი არა მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილეა, არამედ პროცესის ცენტრალური განმსაზღვრელი. ინსტიტუციურ დონეზე მსგავსი ტენდენცია ვლინდება იმაში, თუ როგორ იყენებს ჩინეთი ახალ და არსებულ ორგანიზაციებს საკუთარი ხედვის გასავრცელებლად. საერთაშორისო ინსტიტუტები ამ ეტაპზე აღარ არის მხოლოდ პლატფორმა მონაწილეობისათვის, ისინი თანდათან იქცევა სივრცედ, სადაც ჩინეთი ცდილობს წესების ინტერპრეტაციასა და პრაქტიკის გარდაქმნას. ეს არ ნიშნავს ღია კონფრონტაციას არსებულ წესრიგთან, თუმცა აჩვენებს მცდელობას, წესრიგის შიგნით შეიქმნას ისეთი მექანიზმები, რომლებიც უკეთ შეესაბამება ჩინეთის ინტერესებსა და თვითაღქმას (Friend, 2018).

რეგიონულ გარემოში ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა აზიის სივრცეში, სადაც ჩინეთის ეკონომიკური წონა და პოლიტიკური აქტიურობა თანდათან აყალიბებს ურთიერთობათა ახალ ნორმებს. მეზობელი სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად აწყდებიან რეალობას, სადაც საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა შეუძლებელია ჩინეთის პოზიციის გათვალისწინების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური რიტორიკა კვლავ ეფუძნება თანასწორობასა და ურთიერთსარგებელს, პრაქტიკაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი სულ უფრო მეტად ასიმეტრიულ ხასიათს იძენს. სუვერენიტეტის საკითხებში ამ ეტაპზე ქცევა კიდევ უფრო მკაფიო ხდება. ტაივანის, ჰონგ-კონგისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხებში ჩინეთი ნაკლებად ტოვებს სივრცეს ბუნდოვანი ინტერპრეტაციებისთვის. ადმინისტრაციული ზომები, სამართლებრივი არგუმენტები და ძალის დემონსტრირების ელემენტები გამოიყენება არა ერთჯერადი ზეწოლის მიზნით, არამედ გრძელვადიანი რეალობის შესაქმნელად. ამ მიდგომაში იკითხება წარმოდგენა, რომლის მიხედვით ცენტრალური პოლიტიკური ავტორიტეტის საკითხები დგას საერთაშორისო დისკუსიებზე მაღლა და არ ექვემდებარება გარე არბიტრაჟს (Qin, 2018). განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობებში ჩინეთის როლი ამ ეტაპზე კიდევ უფრო ფართოვდება. ეკონომიკური თანამშრომლობა,ტექნოლოგიური ტრანსფერი და ინფრასტრუქტურული ინვესტიციები თანდათან ქმნის ურთიერთდამოკიდებულების ქსელს რასაც ემატება ასევე საერთო ანტი-იმპერიალისტურ წარსულსა და ყოფილი კოლონიალისტური ქვეყნების ალტერნატივად, მაგალიტად აფრიკაში, რაც განსაზღვრავს ჩინეთის პოზიციას , როგორც სტაბილურ და მუდმივ პარტნიორად (Park, 2015). ამ ურთიერთობებში იშვიათად ფიქსირდება ღია იერარქიული მოთხოვნები, თუმცა თავად თანამშრომლობის სტრუქტურა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ჩინეთი ფუნქციონირებს როგორც პროცესების კოორდინატორი და არა უბრალოდ ერთ-ერთი პარტნიორი (Wong K.-H. , 2018).

ამ პროცესების პარალელურად ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო გარემოს ცვლილებამ, განსაკუთრებით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არასტაბილურმა დინამიკამ დონალდ ტრამპის პირველი ადმინისტრაციის პერიოდში. ამერიკის საგარეო პოლიტიკა ამ ეტაპზე ხასიათდებოდა/ხასიათდება ხშირი პოზიციური ცვლილებებით,

ინსტიტუციური ჩარჩოების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებით და მრავალმხრივი შეთანხმებებისადმი უნდობლობით, მათ შორის ისეთების, რომელიც ეხება სტრატეგიულ მოკავშირეებს. ასეთი ქცევა ასუსტებს აშშ-ის როგორც პროგნოზირებადი ლიდერის როლს და ქმნის გაურკვევლობას როგორც მოკავშირეებში, ისე კონკურენტებში. ჩინეთისთვის ეს ვითარება არ აღიქმება მხოლოდ როგორც დროებითი დიპლომატიური რყევა, არამედ როგორც სტრუქტურული შესაძლებლობა საკუთარი პოზიციის გასაძლიერებლად საერთაშორისო სისტემაში.

ტრამპის ადმინისტრაციის მიერ მრავალმხრივი ფორმატებისგან დისტანცირება, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო და კლიმატური შეთანხმებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ქმნიდა ვაკუუმს გლობალურ მმართველობაში. ჩინეთი ამ ვაკუუმს ეტაპობრივად ავსებდა აქტიური დიპლომატიური ჩართულობითა და საკუთარი ინიციატივების წინ წამოწევით. მიუხედავად იმისა, რომ პეკინი იშვიათად აცხადებდა საკუთარ თავს ლიბერალური წესრიგის დამცველად, პრაქტიკაში იგი სულ უფრო ხშირად გამოდიოდა როგორც სტაბილურობისა და უწყვეტობის მხარდამჭერი აქტორი, რაც ზრდიდა მის საერთაშორისო წონას იმ პირობებში, სადაც ამერიკული დიპლომატია აღიქმებოდა როგორც (Friend, 2018).

სავაჭრო ომის კონტექსტშიც აშშ-ის არასტაბილურმა პოლიტიკამ ორმაგი ეფექტი მოახდინა. ერთი მხრივ, ტარიფებმა და ეკონომიკურმა ზეწოლამ გაამწვავა ჩინეთ–ამერიკის ურთიერთობები, თუმცა, მეორე მხრივ, ამ დაპირისპირებამ დააჩქარა ჩინეთის მცდელობები ეკონომიკური დივერსიფიკაციის, რეგიონული პარტნიორობების გაღრმავებისა და ალტერნატიული ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით. შედეგად, ჩინეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავდა დამოკიდებულების შემცირებას ერთ კონკრეტულ გლობალურ ცენტრზე, რის შედეგადაც თუ 2000 წელს ჩინეთი იყო მხოლოდ 33 ქვეყნის ტოპ პირველი სავაჭრო პარტნიორი, რაშიც დიდი უპირატესობით ჯაბდინა ამერიკა 163 ქვეყნის რიცხვით 2025 წელს 180 გრადუსიანი ცვლილება ვნახეთ სადაც ჩინეთი გახდა მსოფლიოს 145 ქვეყნის ფაქტობრივად ორი მესამედის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი (Cohen, 2026). ამერიკის დიპლომატიური ტონის ცვლილებამ ასევე იმოქმედა ჩინეთის შესაძლებლობაზე, საკუთარი საგარეო პოლიტიკა წარმოეჩინა როგორც რაციონალური და პროგნოზირებადი ამას ეხმიანება Gallup-ის მიერ ჩატარებული 2025 წელის კვლევაც, რის თანახმადაც განსაკუთრებით ტრამპის პირველი და მეორე ვადის პერიოდში ამერიკის რეიტინში მსოფლიოში მკვეთრად დაეცა, განსაკუთრებით მის მოკავშირე ნატოს წევრ სახელმწიფოებში (Julie Ray, 2026) . მაშინ, როდესაც ვაშინგტონი ხშირად მიმართავდა ტრამპის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებსა და მოკლევადიან გათვლებს, პეკინი ხაზს უსვამდა თანმიმდევრულობას, ეტაპობრივობასა და ისტორიულ პასუხისმგებლობას. ეს კონტრასტი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საერთაშორისო აუდიტორიისთვის და აძლიერებდა ჩინეთის იმიჯს როგორც ძალის, რომელიც მოქმედებს გრძელვადიანი ხედვით და არა სიტუაციური იმპულსებით (Qin, 2018). ამ კონტექსტში სინოცენტრიზმი სი ძინპინის ეპოქაში კიდევ უფრო მყარდება როგორც საგარეო პოლიტიკის ჩარჩო. ამერიკული არასტაბილურობა არ ქმნიდა მხოლოდ ტაქტიკურ უპირატესობას ჩინეთისთვის, იგი აძლიერებდა იმ არგუმენტს, რომ საერთაშორისო წესრიგი არარ უნდა ეფუძნებოდეს ერთ ცენტრს და საჭიროებს ალტერნატიულ

ძალთა კონფიგურაციას. ჩინეთი ამ პროცესში საკუთარ თავს სულ უფრო ხშირად წარმოაჩენდა არა როგორც არსებული წესრიგის დამანგრეველს, არამედ როგორც ძალას, რომელიც ბუნებრივად იკავებს ცენტრალურ ადგილს გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქსელებში, განსაკუთრებით იმ პირობებში, სადაც ტრადიციული ლიდერის ქცევა არათანმიმდევრული და პროგნოზირებადობისგან დაცლილი ხდება (Zhang, 2019).

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულულად გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია აჩვენებს მისი გაგების შეუძლებლობაზე მხოლოდ ძალთა ბალანსის, ეკონომიკური ინტერესების ან ლიდერთა ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე. ჩინეთის საერთაშორისო ქცევა ისტორიულად ეფუძნება ისეთ თვითაღქმას, რომელიც სახელმწიფოს აღიქვამს არა უბრალოდ ერთ-ერთ აქტორად საერთაშორისო სისტემაში, არამედ ცენტრალურ პოლიტიკურ და კულტურულ ერთეულად. სინოცენტრიზმი ამ კონტექსტში არ წარმოადგენს სტატიკურ ან მონოლითურ იდეოლოგიას, იგი არის ტრანსფორმირებადი ლოგიკა, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ ფორმებს იღებს და სხვადასხვა ინსტიტუციურ თუ დისკურსულ ჩარჩოში ინტეგრირდება. იმპერიული ჩინეთის იერარქიული მსოფლიო წესრიგი და ტიანსიას კონცეფცია ქმნიდა წარმოდგენას, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები არ ეფუძნებოდა სუვერენულ თანასწორობას, არამედ ცენტრალურობისა და პერიფერიის ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ისტორიულად დაიშალა, მისი ძირითადი ინტელექტუალური და კულტურული ლოგიკა სრულად არ გაქრა. რესპუბლიკურ და შემდგომ მაო ძედუნის ეპოქაში სინოცენტრიზმი გარდაიქმნა ახალი იდეოლოგიური ენით, თუმცა ჩინეთის ქცევა კვლავ გამოხატავდა დამოუკიდებელი ცენტრის ლოგიკას, რომელიც სკეპტიკურად ეკიდებოდა გარე ძალების მიერ ნაკარნახებ წესრიგს. დენგ სიაოპინის პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკა გადავიდა პრაგმატიზმისა და სტრატეგიული შეკავების ფაზაში, თუმცა ეს ცვლილება არ ნიშნავდა სინოცენტრიზმის უარყოფას. პირიქით, იგი წარმოადგენდა მისი ადაპტაციის ფორმას საერთაშორისო გარემოს ახალ პირობებში. ძიან ძემინისა და ჰუ ძინტაოს ეპოქებში ეს მიდგომა კიდევ უფრო გაღრმავდა ინსტიტუციური ინტეგრაციის, ეკონომიკური ცენტრალიზაციისა და რეგიონული ასიმეტრიების გზით, რაც თანდათან ამყარებდა ჩინეთის პოზიციას როგორც გარდაუვალ აქტორს გლობალურ და რეგიონულ პროცესებში. სი ძინპინის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად სინოცენტრიზმი უფრო ხილულ და დეკლარირებულ ფორმებს იძენს. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ გარემოსთან ადაპტაციით და იწყებს საერთაშორისო წესრიგზე აქტიურ ზემოქმედებას. „ეროვნული აღორძინების“ დისკურსი, გლობალური და რეგიონული ინიციატივები, ინსტიტუციური ალტერნატივების შექმნა და სუვერენიტეტის საკითხებზე მკაცრი პოზიცია ასახავს იმ ხედვას, რომლის მიხედვით ჩინეთი საკუთარ ცენტრალურობას აღიქვამს როგორც ისტორიულად გამართლებულ და სტრუქტურულად გარდაუვალ მოვლენას. ამ პროცესში ტიანსიას ლოგიკა არ გვხვდება როგორც პირდაპირი დოქტრინა, თუმცა იგი აშკარად იკითხება წესრიგის, ცენტრალური კოორდინაციისა და იერარქიული ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკაში. ამავე დროს, საერთაშორისო გარემოს ცვლილება, განსაკუთრებით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არათანმიმდევრულობა, ქმნის პირობებს, სადაც ჩინეთის მიერ

შეთავაზებული ალტერნატიული წესრიგის ელემენტები უფრო მიმზიდველი ხდება სხვადასხვა აქტორისთვის. ეს არ ნიშნავს არსებული საერთაშორისო სისტემის სრულ დემონტაჟს, თუმცა მიუთითებს ძალთა კონფიგურაციის ცვლილებაზე, სადაც ჩინეთი სულ უფრო მეტად ცდილობს საკუთარი ისტორიული თვითაღქმისა და თანამედროვე შესაძლებლობების სინთეზს.

საბოლოოდ, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი სინოცენტრიზმის კონცეპტუალური ჩარჩოს გათვალისწინებით გვაძლევს საშუალებას, უკეთ გავიგოთ არა მხოლოდ ჩინეთის ქცევის კონკრეტული მაგალითები, არამედ ის ღრმა ლოგიკა, რომელიც ამ ქცევებს ერთმანეთთან აკავშირებს. სი ძინპინის პერიოდში ეს ლოგიკა სულ უფრო მეტად იძენს ნორმატიულ გამოხატულებას ისეთ კონცეფციებში, როგორიცაა ტიანსია, რომელიც საერთაშორისო წესრიგს აღიქვამს არა როგორც თანასწორ სახელმწიფოთა მექანიკურ ერთობლიობას, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებულ სივრცეს, სადაც წესრიგი, სტაბილურობა და კოორდინაცია ცენტრალური ძალის ირგვლივ ორგანიზდება. ამგვარად, ჩინეთის საერთაშორისო როლის ტრანსფორმაცია წარმოადგენს არა შემთხვევით გადახვევას, არამედ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის გაგრძელებას, რომელიც თანამედროვე პირობებში ახალ, უფრო აქტიურ და სისტემურ ფორმებს იძენს.

ბიბლიოგრაფია:

1. Callahan, W. A. (2004). *National insecurities: Humiliation, salvation, and Chinese nationalism.*
2. Callahan, W. A. (2016). China's "Asia Dream": The brics think-tank network and the future of international relations. *Asian Journal of Comparative Politics*, 226-243.
3. Chu, S. (2010). Whither Chinese IR? The Sinocentric subject and the paradox of Tianxia-ism. *Institute of Asian Studies, German Institute of Global and Area Studies*.
4. Cohen, G. (2026, May 15). *China vs. America: Who the World Trades With Most*. Retrieved from visualcapitalist.com: https://www.visualcapitalist.com/mapped-chinas-global-trade-takeover/
5. Fairbank, J. K. (1968). *The Chinese World Order: Traditional China's Foreign Relations.* Harvard University Press.
6. Forsby, A. B. (2011). An End to Harmony? The Rise of a Sino-Centric China. *Danish Institute for International Studies*.
7. Garcia, M. P. (2014). *From Eurocentrism to Sinocentrism: The New Challenges in Global History.* European Journal of Scientific Research.
8. Gonçalves, A. M. (n.d.). Foreign Policy of People's Republic of China under Deng, Jiang and Hu: a conservative trend. *Centro Argentino de Estudios Internacionales*.
9. GUO, Y. (2008). China's first encounter with the West: Sinocentrism vs. logocentrism in translation.
10. Huang, J. (2017). Xi Jinping's Taiwan Policy Boxing Taiwan In with the One-China Framework. *University of California Press*.
11. jacques, m. (2009). *When China Rules the World: The End of the Western World and the Birth of a New Global Order.* Penguin Books.
12. Johnston, A. I. (1995). *Cultural Realism: Strategic Culture and Grand Strategy in Chinese History.* Princeton University Press.
13. Julie Ray, B. V. (2026, April 3). *China Edges Past U.S. in Global Approval Ratings*. Retrieved from Gallup.com: https://news.gallup.com/poll/707945/china-edges-past-global-approval-ratings.aspx?
14. Keith, R. C. (2018). *Deng Xiaoping and China's Foreign Policy.* Routledge.

15. Lin, D. (2022). "One China" and the Cross-Taiwan Strait commitment problem. *The China Quarterly*.
16. Park, J. (2015). Is the Chinese Government's Increase in Development Co-operation with Africa the Revival of Sinocentrism? *Geopolitics, 20:3*, 626-644.
17. Peng, L. (2018). Chinese IR Sino-centrism tradition and its influence on the Chinese School Movement. *The Pacific Review*.
18. Pye, L. W. (1990). China: Erratic state, frustrated society. *Foreign Affairs*, 56-74.
19. QIN, Y. (2016). A Relational Theory of World Politics. *International Studies Review*.
20. Thayer, J. M. (2018). *ow China sees the world: Han-centrism and the balance of power in international politics.* Potomac Books.
21. Tingyang, Z. (2021). *All under Heaven, The tianxia system for a possible World order.* University of California Press.
22. Wendt, A. (1992). Anarchy is what States Make of it: The Social Construction of Power Politics.
23. Wong, A. K. (2018). Including China? Postcolonial Hong Kong, Sinophone Studies, and the Gendered Geopolitics of China-centrism. *International Journal of Postcolonial Studies*.
24. Wong, K.-H. (2018). ANALYSIS OF CHINESE NARRATIVE OF WORLD ORDER AND FOREIGN POLICY: IS CHINA A REVISIONIST OR REFORMIST POWER?
25. Xuetong, Y. (2011). *ANCIENT CHINESE THOUGHT, MODERN CHINESE POWER.* Princeton University Press.
26. Zhang, B. (2010). Chinese Foreign Policy in Transition: Trends and Implications. *Journal of Current Chinese Affairs*, 39-68.
27. ZHANG, J. Y.-S. (1999). Chinese Foreign Relation Strategies Under Mao and Deng: A Systematic and Comparative Analysis. *Philippine Journal of Third World Studies*.
28. Zhao, T. (2006). Rethinking Empire from a Chinese Concept 'All-under-Heaven' (Tian-xia, 天下). *Social Sciences in China*, 29-41.
29. Zheng, W. (2012). Never Forget National Humiliation: Historical Memory in Chinese Politics and Foreign Relations. *Columbia University Press*.
30. ZHIMIN, C. (2005). Nationalism, Internationalism and Chinese Foreign Policy. *Journal of Contemporary China*.